საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოვანა

იოვანა

იოვანა (Ιωάννα Φάσσου Καλπαξή) ფასოუ კალპაქსი (დ. 14. XI. 1938, ამალისი, საბერძნეთი), ბერძენი მომღერალი, მწერალი. 1963 საგასტროლოდ იმყოფებოდა ყირიმში. ჯგუფის ერთ-ერთ წევრთან გაეცნო რ. ლაღიძის „თბილისოს“ პარტიტურას და გადაწყვიტა მისი ორიგინალში შესრულება. ეძებდა ენის მცოდნეს. ქართველის დახმარებით ლათინური ასოებით ჩაიწერა სიმღერის ტექსტი, რ-ლიც მალევე შეასრულა ორკესტრის თანხლებითა და ლ. ფლერარის დირიჟორობით.

1965 გაიმარჯვა ევროვიზიის კონკურსში. 80-იანი წლებიდან კი მიატოვა სცენა და სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა. მისი პირველივე რომანი „ნახვამდის“ (1986) ბესტსელერად იქცა. გამოსცა ლექსების კრებულებიც. არის 22 წიგნის ავტორი.

2011 მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება.